დაუყოვნებელი გამოცემისათვის - 22 თებერვალი 2010

<u>პრეს რელიზი</u>

საქართველო: საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტს მოკვლით დაემუქრნენ

„მე-19 მუხლი“, სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებთნა ერთად, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს წამყვან ქართველ ჟურნალისტ, ვახტანგ კომახიძეზე მუქარა და ზეწოლა.

კომახიძემ განაცხადა, რომ 10 თებერვალს მას მოკვლით დაემუქრნენ. იგი ახლახანს დაბრუნდა სამხრეთ ოსეთიდან, სადაც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე დოკუმენტურ ფილმს იღებდა.

მე-19 მუხლმა, „უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიურ ქსელთან“, „ობსერვატორია უფლებადამცველთა დაცვისათვის“, „ფონდ ადამიანის უფლებათა სახთან“ და „ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტთან“ ერთად, გაავრცელა საერთო განცხადება.

ორგანიზაციები გმობენ კომახიძის მიმართ განხორციელებულ მუქარებს და მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და შეწყვიტოს ჟურნალისტების დევნა. საერთო განცხადება ასევე მოუწოდებს ინციდენტის დროული, ეფექტური, დეტალური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიებისაკენ და განსხვავებული აზრისათვის უსაფრთხო და ხელისშემწყობი გარემოს შექმნისაკენ.

„მიუღებელია განსხვავებული აზრის აღმოფხვრისათვის დაშინების ტაქტიკის გამოყენება, ხოლო გამოძიების არარსებობა აღნიშნულ საკითხზე მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სიტყვის თავისუფლებისადმი მის ერთგულებას“, აცხადებს „მე-19 მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი აგნეს კალამარდი.

რედაქტორებისათვის:

- *დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ: რებეკა ვინსენტი* rebecca@article19.org ან დარეკეთ +44 20 7324 2500.
- საერთო განცხადების სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: http://www.article19.org/pdfs/press/georgia-life-threats-against-a-leading-georgian-journalist.pdf
- **„მე-19 მუხლი“** არის დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მთელ მსოფლიოში, გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და განვითარებისათვის. მისი სახელწოდება მომდინარეობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეცხრამეტე მუხლიდან, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას.